**2013 წლის 25 ოქტომბერი**

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომის**

**ოქმი**

**25 ოქტომბერი, 2013 წ**

**ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" მისამართი:**

ქ.თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ 36.

სხდომის დაწყების დრო 18:00

**სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), იმედა დვალიძე, ნოდარ ფეიქრიშვილი, ზაზა ბიბილაშვილი, ზვიად კორძაძე, გოჩა სვანიძე, ცისმარი ონიანი.**

**დღის წესრიგი:**

1. ასოციაციაში გაწევრიანება;

2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ ადვოკატ ნუგზარ კანდელაკის მიმართ საადვოკატო საქმიანობის უფლების 6 თვის ვადით ჩამორთმევის თაობაზე;

3. ეთიკის კომისიის თავმჯდომარის წერილზე მსჯელობა "ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების ცვლილებებზე სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

4. ეთიკის კომისიის თავმჯდომარის წერილზე მსჯელობა აღმასრულებელი საბჭოს მიერ ადვოკატის სტატუსში ცვლილების შეტანის გადავადების შესახებ დიცსიპლინური წარმოების დასრულებამდე;

5. აკრედიტაციის მინიჭების შესახებ მსჯელობა

   - აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტი (JILEP);
   - თსუ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი
   - შპს. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი (ფასიანი კონფერენციის შესახებ)

- ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის ერთობლივი პროექტი “ადვოკატთა და ადამიანის უფლებების დამცველთა შესაძლებლობების გაძლიერება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე გამოყენებისათვის”;

- ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის ერთობლივი პროექტი “ადვოკატთა და ადამიანის უფლებების დამცველთა შესაძლებლობების გაძლიერება ადამისნის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე გამოყენებისათვის

6. ნიკოლოზ დვინაძის განცხადების განხილვა;

7. რეგულაციების დამტკიცება;

   - განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემის წესები
   - აკრედიტაციის წესები
   - გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესები
   - გამოცდების ჩატარების დებულება
   - სასწავლო ცენტრის დებულება
   - საგანმანათლებლო საბჭოს დებულება
   - მოსამზადებელი კურსების დებულება

8. საგანმანათლებლო საბჭოს წევრების დამტკიცება;

9. არასამთავრობო ორგანიზაციის “ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის”თავმჯდომარის ნანა კაკაბაძის წერილის შესახებ მსჯელობა;

10. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის ქ. ბათუმში საოფისე ფართის შესაძენად 80 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გამოყოფა ასოციაციის 2013 ბიუჯეტიდან.

11. იოვანე აბულაშვილის განცხადება გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურისგან გათავისუფლების შესახებ;

12. ქეთევან ბექაურის განცხადება აღმასრულებელი საბჭოს წევრობის შეწყვეტის და ასოციაციის წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობის შედეგად, საბჭომ მიიღო შემდეგი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლე ბ ა:**

1. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწევრიანებელ პირთა განცხადება. ასევე, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე ხელახალი

გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი ყველა უფლებამოსილებაშეწყვეტილ პირთა განცხადებები.

ა). საქართველოს კანონის "ადვოკატთა შესახებ" მე-10 მუხლის, 1 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას **მერაბ კილაძის** განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ და ამავე კანონის, **21²** მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად და მისი პირადი განცხადების საფუძველზე, **მერაბ კილაძეს** გაწევრიანებისთანავე შეუჩერდეს წევრობა.

ბ). **ნინო ცუხიშვილი** გაწევრიანებულ იქნას ასოციაციაში და ამავე კანონის, **21²**მუხლის, 1 პუნქტის, "ა ქვეპუნქტის" საფუძველზე, **ნინო ცუხიშვილს** შეუჩერდეს წევრობა.

2. საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, **21³** მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, ცნობად იქნა მიღებული გადაწყვეტიელება, ადვოკატ **ნუგზარ კანდელაკის** მიმართ ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა 6 (ექვსი) თვის ვადით. აღნიშნულ პირს გაეგზავნოს წერილი.

3. მიენიჭოს აკრედიტაცია წარმოდგენილ თემებს:

   - აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტი (JILEP), თემა "**სამართლებრივი დასაბუთებულობა";**

   - ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის ერთობლივი პროექტი "ადვოკატთა და ადამიანის უფლებების დამცველთა შესაძლებლობების გაძლიერება ადამისნის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე გამოყენებისათვის; თემა: **ტრენერთა ტრენინგი-ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის გამოყენება შიდასახელმწიფოებრივ დონეზე;**

   - ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის ერთობლივი პროექტი "ადვოკატთა და ადამიანის უფლებების დამცველთა შესაძლებლობების გაძლიერება ადამისნის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე გამოყენებისათვის; თემა: **რელიგიის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება და შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლება დისკრიმინაციის ჭრილში**".

   - აკრედიტაციის სისტემის წესების თანახმად, შესაბამისი აკრედიტაციის გადასახადის (300 ლარი) გადახდის შემდეგ, შპს. თსუ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის მიერ წარმოდგენილი თემა: **"საერთაშორისო კონფერენცია: მედიაცია და არბიტრაჟი- მსოფლიო განვითარების ტენდენციები"** ჩაითვლება აკრედიტებულად.

4. **ნიკოლოზ ღვინაძის** განცხადება დაკმაყოფილდეს; განცხადებაში აღნიშნული კრედიტ-საათები ჩაეთვალოს მიმდინარე წლის სავალდებულო კრედიტ-საათებში. განცხადების ავტორმა წარმოადგინოს კონფერენციის თემატიკა და დღის წესრიგი;

5. განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემის წესები, აკრედიტაციის წესები, გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესები, გამოცდების ჩატარების დებულება,

სასწავლო ცენტრის დებულება, საგანმანათლებლო საბჭოს დებულება, მოსამზადებელი კურსების დებულება დამტკიცებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართები 1, 2, 3, 4, 5, 6, 7).

6. საგანმანათლებლო საბჭო დამტკიცებულ იქნას შემდეგი შემადგენლობით: **ზვიად კორძაძე (თავმჯდომარე), გოჩა სვანიძე, ზაზა ბიბილაშვილი, ქეთევან ქვარცხავა, კობა ბოჭორიშვილი, ზაზა რუხაძე, მამუკა მამაცაშვილი;**

7. გამოყოფილ იქნას ასოციაციის 2013 ბიუჯეტიდან 80 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ქ. ბათუმში საოფისე ფართის შესაძენად;

8. გამონაკლისის სახით დაკმაყოფილდეს **იოანე აბულაშვილის** განცხადება გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურისგან გათავისუფლების შესახებ;

9. საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, $21^2$ მუხლის, 1 პუნქტის, "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე **ქეთევან ბექაურს** შეუჩერდეს ასოციაციის წევრობა.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**ზაზა ხატიაშვილი**

**საქართველოს ადვოკატთა**

**ასოციაციის თავმჯდომარე**